

დიმიტრი არაყიშვილის ბიოგრაფია

ცნობილი ქართველი კომპოზიტორი, მუსიკათმცოდნე-ეთნოგრაფი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ქართული პროფესიული მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი (1929), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1950), სსრკ-ის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1950) დიმიტრი ეგნატეს ძე არაყიშვილი დაიბადა 1873 წლის 11 თებერვალს/23 თებერვალს, ვლადიკავკაზში.

სიტაბუკის წლები არაყიშვილმა ჩრდილოეთ კავკასიაში-არმავირსა და ეკატერინოდარში (ახლანდელი კრასნოდარი) გაატარა. მუსიკისადმი სიყვარული არაყიშვილს გაუღვიძა ლ. აღნიაშვილის ქართულმა გუნდმა (ხელმძღვანელი ი. რატილი), რომელსაც პირველად 1890 წელს მოუსმინა არმავირში. ამ პერიოდს განეკუთვნება მისი პირველი ნაწარმოებები - რომანსი "ჩემო მკვლელო, ვიცი, ვიცი" (ლექსი ი. ჭავჭავაძისა) და ქართული ცეკვა ფორტეპიანოსათვის. 1894-1901 წლებში არაყიშვილი სწავლობდა მოსკოვის ფილარმონიული საზოგადოების სამუსიკო დრამატულ სასწავლებელში, რომელიც წარმატებით დაამთავრა ა. ილინსკის (კომპოზიცია), ს. კრუგლიკოვის (თეორიული საგნები) და ვ. კესის (დირიჟორობა) ხელმძღვანელობით.

მოსკოვში ყოფნის წლებში (1894-1918) არაყიშვილმა ახლო ურთიერთობა დაამყარა გამოჩენილ რუს მუსიკოსებსა და მეცნიერებთან (ს. ტანეევი, ა. კასტალსკი, მ. იპოლიტოვიჩანოვი, ს. პასხალოვი, მ. პიატნიცკი). ამ პერიოდში იგი გატაცებით კრებდა, იკვლევდა და პროპაგანდას უწევდა ქართული მუსიკის ფოლკლორს. ხალხური მუსიკის შემოქმედებისადმი ინტერესმა იგი მჭიდროდ დააკავშირა მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულ სამუსიკო-ეთნოგრაფიის კომისიასთან. ამ კომისიის დავალებით არაყიშვილმა ოთხი (1901, 1902, 1904, 1908) სამეცნიერო ექსპედიცია მოაწყო საქართველოს სხვადასხვა რაიონებში და მოაგროვა დიდძალი მუსიკალური მასალა (500-ზე მეტი ხალხური სიმღერა), რომელიც შემდეგ ვრცელი გამოკვლევითა და კომენტარებითურთ სამ დიდ კრებულად გამოსცა. არაყიშვილის ნაშრომებმა საქვეყნოდ წარმოაჩინა ქართული ხალხური მუსიკის თვითმყოფლობა.

1906 წელს არაყიშვილმა მოწინავე რუს მუსიკოსებთან ერთად საფუძველი ჩაუყარა "სახალხო კონსერვატორიას", სადაც თვითონაც ასწავლიდა. ორი წლის შემდეგ მან არბატის უღარიბესი მოსწავლეებისათვის დააარსა უფასო სამუსიკო კურსები. მისი პირადი თაოსნობითა და ღვაწლით 1908 მოსკოვში გამოვიდა პროგრესული ჟურნალი "მუზიკა ი ჟიზნი", რომელსაც რამდენიმე წლის განმავლობაში თვითონვე რედაქტორობდა. ამავე პერიოდში იგი აქტიური წევრი იყო მოსკოვის "მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის ქართული საზოგადოებისა", რომელსაც სათავეში ედგა ა.სუმბათაშვილ-იუჟინი.

შემოქმედება

საზოგადო, პედაგოგიურ და მეცნიერულ მოღვაწეობა არაყიშვილი დაძაბულ შემოქმედებით შრომას უთავსებდა. ამ პერიოდს განეკუთვნება მისი ოცზე მეტი საუკეთესო რომანსები, ოპერა "თქმულება შოთა რუსთაველზე" (1904), რომელიც 1919 წელს თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე დაიდგა (ამ ნაწარმოებით იწყება ქართული ეროვნული ოპერის სცენური ისტორია), სიმფონიური სურათი "ჰიმნი ორმუხდს" ("საზანდრებს შორის", 1911) და ბევრი საგუნდო ნაწარმოები.

1918 არაყიშვილი საქართველოში გადმოსახლდა და მთავარ ამოცანად მან მუსიკოსთა ახალგაზრდა კადრების მომზადება დაისახა. 1921 წელს თბილისში მისი უშუალო ინიციატივით დაარსდა მეორე კონსერვატორია, რომელთანაც ჩამოყალიბდა საგუნდო კლასი, სიმებიანი კვარტეტი, საოპერო სტუდია. 1926-1930 არაყიშვილი იყო თბილისის კონსერვატორიის (1923 ორივე კონსერვატორია გაერთიანდა) დირექტორი, კათედრის გამგე, საკომპოზიციო ფაკულტეტის დეკანი. 1932 იგი სათავეში ჩაუდგა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირს. საბჭოთა პერიოდში არაყიშვილის შემოქმედება გამდიდრდა სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებით (კომიკური ოპერა "დინარა", სიმფონიები, კანტატა).

არაყიშვილის მემკვიდრეობის ყველაზე ვრცელი და მნიშვნელოვანი დარგია კამერულ-ვოკალური ლირიკა. ამ ჟანრში კომპოზიტორმა ჭეშმარიტად კლასიკური მნიშვნელობის ნიმუშები შექმნა. მეტად მრავალფეროვანია არაყიშვილია სარომანსო შემოქმედების ლიტერატურული-პოეტური საფუძველი (ჰაფიზი, ა. პუშკინი, ა. ფეტი, ი. პოლონსკი, ა. მაიკოვი, ი. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი, გ. ქუჩიშვილი, გ. ტაბიძე), მისი რომანსები გამოირჩევა მელოდიურობითა და გამომხატველობით, ფორმის პლასტიკურობითა და ლაკონიურობით, ფაქიზი ჰარმონიული კოლორიტით. განსაკუთრებით აღსანიშნავია "ივერიის მთებზე", "ნუ მღერი, ღამაზო" (პუშკინი), "ადსდექ, შეინავარდე", "ვარდ-ყვავილთა სამეფოს მოდი", "სიოვ ნაზო" (ჰაფიზი), "ვარსკვლავიანსა ღამეს" (ა. ფეტი), "მე შენ გელი" (მ. დავიდოვა), "ღამეა ბნელი", "შემოღამდება", "ურმული" (გ. ქუჩიშვილი), რომლებიც ფართოდ გავრცელდა ხალხში, დამკვიდრდა საკონცერტო და

პედაგოგიურ რეპერტუარში. საგულისხმოა, რომ მრავალრიცხოვანმა რომანებმა ნიადაგი მოუმზადა არაყიშვილის ოპერას "თქმულება შოთა რუსთაველზე". ოპერის სტილისტური თავისებურებები იმავე ინტონაციური საწყისებით განისაზღვრება (ძველი თბილისის მუსიკალური ფოლკლორის ადმოსავლური ნაკადი), რომლიდანაც არაყიშვილის სარომანსო მუსიკა აღმოცენდა. ოპერას საფუძვლად დაედო ხალხური თქმულება რუსთაველის ცხოვრების ერთ დრამატული ეპიზოდის შესახებ (ლიბრეტო აღ. ხახანაშვილის, ს. შანშიაშვილის, ი. მჭედლიშვილის). სიუჟეტის ინტიმურმა ხასიათმა და რომანსული ფორმების ფართო გამოყენებამ ოპერას კამერული ხასიათი მისცა. ოპერის ცალკეულმა ნაწყვეტებმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა (შესავალი, თამარის კავაჩინა, შოთას არია, მგოსნის სიმღერა, ურმული, აბდულ-არაბისა და რუსუდანის დუეტი).

უფროსი თაობის სხვა ქართველ კომპოზიტორებთან ერთად (მ. ბალანჩივაძე, ზ. ფალიაშვილი, ნ. სულხანიშვილი, ვ. დოლიძე) არაყიშვილი აღიარებულია ეროვნული საკომპოზიციო სკოლის ფუძემდებლად.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. მასთან დიდუბის პანთეონში დასაფლავებულია მისი მეუღლე — მატრონა გერასიმეს ასული კუპრიანოვა (დ. 20 ოქტომბერი, 1885 სოფ. ვასილევსკაია, ახლანდელი მოსკოვის ოლქი — გ. 14 თებერვალი, 1946, თბილისი) — 1953 წლის სექტემბერში კუკიის სასაფლაოდან გადმოასვენეს დიდუბის პანთეონში.

ლიტერატურა.

ბეგიჯანოვი ა., დიმიტრი არაყიშვილი, თბ., 1953;

Донадзе В., Музыкальное наследие Грузии (Классический период), კრ.: Грузинская музыкальная культура, М., 1957

დონაძე ლ., ქსე, ტ. 1, გვ. 545-546, თბ., 1975

ზ. ბაბუნაშვილი, თ. ნოზაძე, „მამულიშვილთა სავანე“, თბ., 1994

დიმიტრი არაყიშვილის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. დ. არაყიშვილის რუსეთის იმპერიისდროინდელი პასპორტი.
1894-1918 წწ. სტამბური. ხელით შევსებული. რუსულ ენაზე. 1 ც. (დაზიანებული).
2. ტერსკის ოლქის სახალხო სასწავლებლის დირექტორის მოადგილისა და კომისიის მიერ გაცემული მოწმობა დ. არაყიშვილისადმი, სამხედრო ვალდებულებასთან დაკავშირებით.
1885 წ. 7 ივლისი. ბლანკი. ხელით შევსებული. ხელმოწერილი. შავი მელანი. ბეჭედდასმული – იმპერიის გერბით. რუსულ ენაზე. 1 ც.
3. ვლადიკავკაზის საქალაქო სამმართველოს მიერ გაცემული მოწმობა დ. არაყიშვილისადმი, სამხედრო ვალდებულებასთან დაკავშირებით.
1891 წ. 2 ოქტომბერი. ბლანკი. ხელით შევსებული. ხელმოწერილი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 2 გვ.
4. ვლადიკავკაზის ნიკოლაევსკის ოთხკლასიანი საქალაქო სასწავლებლის მოწმობა გაცემული დ. არაყიშვილისადმი, ოჯახური მდგომარეობის გამო, სასწავლებლიდან გასვლასთან დაკავშირებით.
1894 წ. 15 მაისი. ბლანკი. ხელით შევსებული. ხელმოწერილი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.
5. ვლადიკავკაზის საქალაქო სამმართველოს მიერ გაცემული მოწმობა დ. არაყიშვილისადმი, სამხედრო ვალდებულებასთან დაკავშირებით.
1894 წ. 11 აგვისტო. ხელნაწერი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.
6. ლაბინსკის მაზრის ჯარების უფროსის მიერ გაცემული მოწმობა დ. არაყიშვილისადმი, სამხედრო მოვალეობის მოხდის შესახებ.
1894 წ. 9 ნოემბერი. ხელნაწერი. ბეჭედდასმული. შავი მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
7. კუბანსკის ოლქის კაზაკთა რაზმის ატამანის კანცელარიის მიერ გაცემული სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლების შუამდგომლობის ცნობა დ. არაყიშვილისადმი.
1898 წ. ხელნაწერი. შავი მელანი. რუსულ ენაზე. 3 გვ.
8. დ. არაყიშვილის მოწმობა მოსკოვის მუსიკალურ-დრამატული სასწავლებლის დამთავრების შესახებ.
1901 წ. 29 მაისი. ხელნაწერი. ბეჭედდასმული. ხელმოწერილი. მელანი. შტამპი. 1 გვ.
9. მოსკოვის ფილარმონიული საზოგადოების მუსიკალურ-დრამატული სასწავლებლის სამხატვრო საბჭოს მიერ გაცემული მეორე ხარისხის ატესტატი დ. არაყიშვილისადმი.
1901 წ. 8 ნოემბერი. სტამბური. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 1 ც. ერთვის ბეჭდით დამოწმებული ნაბეჭდი ასლი. 1 გვ.
10. მუსიკალური მაღაზია “ვერიკას” მფლობელ ვლადიმერ ივანეს ძე ილიანსკისა და დ. არაყიშვილს შორის დადებული ხელწერილი, პიანინოს დაქირავების შესახებ.
1909 წ. 3 აპრილი. მოსკოვი. ბლანკი. ხელით შევსებული. შავი მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ. (დაზიანებული).
11. მუსიკალური მაღაზია “ვერიკას” მფლობელ ვლადიმერ ივანეს ძე ილიანსკისა და დ. არაყიშვილს შორის დადებული ხელწერილი, პიანინოს დაქირავების შესახებ.
1909 წ. მოსკოვი. ბლანკი. ხელით შევსებული. შავი მელანი. 2 გვ. (დაზიანებული).
12. პელაგეა ივანეს ას. (უგვარო) ანდერძი დ. არაყიშვილისათვის ბინისა და ქონების დამტკიცების შესახებ.
1910 წ. 26 ნოემბერი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 ც. 2 გვზ.

13. სინოდის სასწავლებლის დარბაზში გამართული დ. არაყიშვილის შემოქმედებით საღამოზე დასასწრები საშვი.
1911 წ. 11 მარტი. სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.
14. ვლადიკავკაზის საქალაქო სამმართველოს მიერ გაცემული მოწმობა დ. არაყიშვილისადმი, მისი უკანონო შვილის, ალექსანდრეს რეგისტრაციის შესახებ.
1916 წ. 5 მაისი. ხელნაწერი. ხელმოწერილი. შავი მელანი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 2 გვ.
15. სიმღერის მასწავლებლის მოწმობა გაცემული დ. არაყიშვილისადმი, მოსკოვის როგოუსკის სასწავლებლის ინსპექტორ ა. კუნჩეროვის მიერ.
1916 წ. 21 საქტემბერი. შტამპი. ხელნაწერი. შავი მელანი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.
16. სიმღერის მასწავლებლის მოწმობა გაცემული დ. არაყიშვილისადმი, მოსკოვის სახალხო სასწავლებლის ინსპექტორის მიერ, საყოველთაო მობილიზაციასთან დაკავშირებით.
1916 წ. ოქტომბერი. ნაბეჭდი. შტამპი. ხელმოწერილი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.
17. მოსკოვის არქეოლოგიური ინსტიტუტის მოწმობა გაცემული დ. არაყიშვილისადმი, ინსტიტუტის საპატიო წევრად არჩევისა და ოქროს მედლით დაჯილდოების შესახებ.
1917 წ. 15 დეკემბერი. ნაბეჭდი. ასლი, ბეჭდით დამოწმებული. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
18. დ. არაყიშვილის ნაწარმოებთა გამოცემის ანგარიში, გაცემული ი. სუზანაჯანიანის მუსიკალური მაღაზიის მიერ.
1918 წ. 9 აპრილი. ბლანკი. ხელნაწერი. შავი მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
19. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ დ. არაყიშვილისაგან შესყიდული სიმღერის ნოტების ჩამონათვალი.
1918 წ. 10 აპრილი. ბლანკი. ხელით შევსებული. შავი მელანი. 2 გვ.
20. ქართული სამუსიკო საზოგადოების მიერ გაცემული ადრესი დ. არაყიშვილისადმი, საზოგადოების საპატიო წევრად არჩევისთან დაკავშირებით.
1919 წ. 8 თებერვალი. სტამბური. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერენ: თავმჯდომარე ვ. მაჩაბელი. მდივანი ილ. აბაშიძე. ერთვის ასლი, დამოწმებული ბეჭდით. 1 ც. 1 გვ.
21. ქართული სამუსიკო საზოგადოების სკოლის მასწავლებელთა საბჭოს მიერ გაცემული ადრესი დ. არაყიშვილისადმი, მოღვაწეობის XII წლისთავთან დაკავშირებით.
1919 წ. 8 თებერვალი. სტამბური. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: ილ. აბაშიძე, ელ. ქიქოძე, ო. მ. გეროვი, ე. პოლტორაცკაია, მ. ავალიანი, რ. ე. ხოსროვეა. ნ. კალაშნიკოვა. 1 გვ.
22. მეგობრების მიერ მიძღვნილი ადრესი დ. არაყიშვილისადმი, ოპერის “თქმულება შოთა რუსთაველზე” დადგმასთან დაკავშირებით.
1919 წ. ხელნაწერი. მხატვრულად გაფორმებული. მელანი. აკვარელი. ხელს აწერენ: ანდრო ტატიშვილი, ს. ჩიჯავაძე, ე. მუხაძისა, ალ. შალიგინი, ვასო ტურაბელიძე, პ. გრიგოლაშვილი, ა. მეძმარიაშვილი, ა. ქარუმიძე, მ. ზანდუკელი, მ. ჩხიკვაძე, ა. გაგუა, პ. ჩარექიშვილი, ბარბარე კაპანაძე, ნ. ლორთქიფანიძე-ცაგარელი, ნიკა ლორთქიფანიძე, მიხო თუხარელი, ვარლამ ახვლედიანი, ქ. ჩიგოგიძისა, ვარდენ ავალიანი, თამარა ლასხიშვილი, ნ. გამრეკელი, ნატ. გამრეკელი, ვლ. გომართელი, ნ. ჯავახიშვილი, ვ. ციციშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ნ. გაგუა, გ. ქავთარაძე, სოსო აბაქელი, ვალიკო კანდელაკი, ს. ლორთქიფანიძე, ელო (?), ლ. შურღაია, ვანო მისენკო, ალ. კურცხალია, თინა (?), ა. ზანდუკელი, ს. გ. ერისთავი. 1 ც.
23. საქართველოს რესპუბლიკის მუსიკალურ დაწესებულებებისთვის დებულების პროექტის შემუშავების კომისიის სხდომის ოქმი. წევრთა შორის დ. არაყიშვილი.
1920 წ. 25 – 27 სექტემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 4 გვ.
24. სახელმწიფო საოპერო თეატრის კომისიის მიმართვა სახალხო განათლების კომისარიატის ხელოვნების განყოფილებისადმი, დ. არაყიშვილის ჰონორარის შესახებ.

1921 წ. 15 მაისი. ნაბეჭდი. 1 გვ.

25. სათეატრო სექციის გამგის მიმართვა სახელმწიფო ოპერის თეატრის გამგისადმი, დ. არაყიშვილის ოპერის “თქმულება შოთა რუსთაველზე” დადგმასთან დაკავშირებით. (ამონაწერი ოპერის არქივიდან).
1921 წ. 14 ოქტომბერი. ნაბეჭდი. 1 გვ.
26. სახელმწიფო საოპერო თეატრის გამგე პ. დადვადის მიმართვა ხელოვნების მთ. კომიტეტის სათეატრო სექტორისადმი, დ. არაყიშვილის ოპერის “თქმულება შოთა რუსთაველზე”, ვ. დოლიძის ოპერა “ლეილას” და მ. ბალანჩივაძის ოპერა “თამარ ცხიერის” დადგმასთან დაკავშირებით.
1921 წ. ნაბეჭდი. 1 გვ.
27. საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის საცხოვრებელი მოწმობა გაცემული დ. არაყიშვილისადმი, თბილისის პოლიციის უფროს სამმართველოს მიერ.
1922 წ. 12 მაისი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. ბეჭედდასმული. 1 გვ.
28. მთავარი სახელოვნო კომიტეტის მუსიკალური განყოფილების გამგის მიერ გაცემული მოწმობა დ. არაყიშვილისადმი, შვებულებასთან დაკავშირებით.
1923 წ. 1 აგვისტო. ხელნაწერი. შავი მელანი. 1 გვ.
29. საქართველოს სსრ სახალხო განათლების კომისარიატის სახელოვნო კომიტეტის თავმჯდომარე მედიტონ ბალანჩივაძისა და მდივან დ. ნახუცრიშვილის მიერ გაცემული მოწმობა დ. არაყიშვილისადმი, ოპერის “თქმულება შოთა რუსთაველზე” სააგტორო ჰონორარის შესახებ.
1923 წ. 13 ოქტომბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. ბეჭედდასმული. 1 გვ.
30. მთავარი სახელოვნო კომიტეტის თავმჯდომარის მიერ გაცემული მოწმობა დ. არაყიშვილისადმი, ოპერის “თქმულება შოთა რუსთაველზე” ჰონორართან დაკავშირებით.
1923 წ. 13 ოქტომბერი. ხელნაწერი. შავი მელანი. 1 გვ.
31. დ. არაყიშვილის მოხსენებითი ბარათი სახელმწიფო თეატრის კომისარ სვიმონიშვილისადმი, საკომპოზიტორო საქმიანობის შესახებ.
1924 წ. 29 იანვარი. ავტოგრაფი. შავი მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
32. დ. არაყიშვილის მიმართვა სახალხო განათლების კომისარიატის სამუსიკო განყოფილების გამგე მედიტონ ბალანჩივაძისადმი, ფინანსური დახმარების გამოყოფასთან დაკავშირებით.
1924 წ. 27 ივნისი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
33. რუსეთის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ცენტრალური ადმინისტრაციული სამმართველოს მიერ გაცემული დაბადების მოწმობის ამონაწერი დ. არაყიშვილისადმი. ერთვის რსფსრ სახალხო კომისარიატის წერილი დ. არაყიშვილისადმი.
1924 წ. 26 ივლისი. ბლანკი. ხელნაწერი. ნაბეჭდი. შავი მელანი. ბეჭედდასმული. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 5 გვ. (დაზიანებული 1 გვ.).
34. უკრაინის სსრ განათლების სახალხო კომისარიატის მუსიკალური განყოფილების ინსპექტორის, კომპოზიტორ კ. კაზიცკის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, ხარკოვში უკრაინული ოპერის დაარსებასთან დაკავშირებით, ქართული და სომხური საოპერო ნაწარმოებების ნოტების გაგზავნის შესახებ.
1925 წ. 9 ივნისი. ხარკოვი. ბლანკი. ხელნაწერი. შავი მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.\
35. საქართველოს სსრ სახალხო განათლების კომისარიატთან არსებული ხელოვნების საქმეთა მთავარი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. გედევანიშვილის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, აკაკი ფაღავას შვებულების გამო, საოპერო სტუდიის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით.
1925 18 აგვისტო. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. შტამპი. 1 გვ.

36. გამომცემლობა “მეცნიერება საქართველოში” წარმომადგენელსა და დ. არაყიშვილს შორის დადებული ხელშეკრულება, ნაშრომ “ქართული მუსიკის ისტორიის” გამოცემასთან დაკავშირებით.
1925 წ. 30 სექტემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელით შევსებული. ხელმოწერილი. 1 გვ.
37. დ. არაყიშვილის ვინაობის მოწმობა – პასპორტი.
1925 წ. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.
38. გამომცემელ კ. ე. ჰამბურგერსა და დ. არაყიშვილს შორის დადებული ხელშეკრულება ვოკალური და საოპერო ნაწარმოებების ნოტების გამოცემასთან დაკავშირებით.
1926 წ. თებერვალი. ნაბეჭდი. ხელით შევსებული დ. არაყიშვილის მიერ. ხელმოწერილი. რუსულ და ქართულ ენებზე. 2 გვ.
39. საშემოსავლო გადასახადის კომისიის თავმჯდომარის განცხადება დ. არაყიშვილისადმი, შემოსავლის შესახებ ინფორმაციის მოწოდებასთან დაკავშირებით.
1926 წ. 7 ივლისი. ბლანკი. ხელით შევსებული. 1 გვ.
40. კიევის ეთნოგრაფიული ამხანაგობის მისალოცი ადრესი დ. არაყიშვილისადმი, შემოქმედებითი მოღვაწეობის 25 წლისთავთან დაკავშირებით.
1927 წ. 2 ივნისი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. ბეჭდდასმული. უკრაინულ ენაზე. 1 გვ. ასლი.
41. სახელმწიფო აკადემიური გუნდის ხელმძღვანელ კოტე ფოცხვერაშვილის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, საპატიო წევრად არჩევის შესახებ.
1927 წ. 1 ნოემბერი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. შავი მელანი. შტამპი. 1 გვ.
42. მოსკოვის არქეოლოგიური ინსტიტუტის მიერ გაცემული მოწმობა დ. არაყიშვილისადმი, მეცნიერ-არქეოლოგის წოდების მინიჭების, ინსტიტუტის წევრად ჩარიცხვისა და ოქროს მედლით დაჯილდოების შესახებ.
1927 წ. 15 დეკემბერი. ბლანკი. ხელით შევსებული. ხელმოწერილი. ბეჭდდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.
43. დ. არაყიშვილის არქეოლოგიური განყოფილების სამეცნიერო კურსის გავლის დამადასტურებელი მოწმობა, გაცემული მოსკოვის არქეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორ ა. უსპენსკის მიერ.
1927 წ. 15 დეკემბერი. ნაბეჭდი. ასლი, ბეჭდით დამოწმებული. რუსულ ენაზე. 1 გვ.
44. დ. არაყიშვილის ოპერა “დინარას” საორკესტრო პარტიების გადაწერის ხარჯთაღრიცხვა.
1928 წ. 12 ნოემბერი. დ. არაყიშვილის ავტოგრაფი. ხელნაწერი. შავი მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 გვ.
45. საქართველოს განათლების მუშაკთა პროფესიული კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ახელედიანის მიმართვა ლენინგრადის მეცნიერთა სახლის სამმართველოსადმი, დ. არაყიშვილის მივლინებასთან დაკავშირებით.
1928 წ. 26 ნოემბერი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. შტამპი. 1 გვ.
46. სახელმწიფო მუსიკალურ გამომცემლობა “მუზგისსა” და დ. არაყიშვილის შორის დადებული ხელშეკრულება ქართული ცეკვების გამოცემასთან დაკავშირებით.
1929 წ. 9 მაისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. ბეჭდდასმული. რუსულ ენაზე. 2 გვ.
47. სახელმწიფო გამომცემლობის მუსიკალური სექტორის ხელმძღვანელისა და ტექნიკური რედაქტორის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, მისი ნაწარმოებების გამოცემასთან დაკავშირებით.
1929 წ. 14 მაისი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. შტამპი. 2 გვ.
48. საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისადმი, დ. არაყიშვილისთვის სახალხო არტისტის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით.
1929 წ. 31 მაისი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. ბეჭდდასმული. შტამპი. 1 გვ.

49. განათლების სახალხო კომისარიატის შეტყობინება დ. არაყიშვილისადმი, მოსკოვში, სტანისლავსკის სახ. სტუდიაში მისი ნაწარმოებების გაგზავნის შესახებ.
1929 წ. 29 ნოემბერი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. შტამპი. 1 გვ.
50. დ. არაყიშვილის მიმართვა განათლების კომისარიატის სამუსიკო განყოფილებისადმი, ოპერა “დინარას” განახლებასთან დაკავშირებით.
1929 წ. ნოემბერი. ნაბეჭდი. 1 გვ.
51. ამონაწერი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მცირე პრეზიდიუმის ოქმიდან, დ. არაყიშვილისა და მხატვარ გიგო გაბაშვილისთვის სახალხო არტისტის წოდების მინიჭების შესახებ.
1929 წ. 9 დეკემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რეზოლუციით. 1 გვ.
52. დ. არაყიშვილის მეცნიერ-მუშაკთა სექციის წევრის მოწმობა.
1929 წ. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.
53. დ. არაყიშვილის შრომების სია გამოცემული მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებული მუსიკალურ-ეთნოგრაფიული კომისიის მიერ. ერთვის საზღვარგარეთის პრესის გამოხმაურება.
1929 წ. ნაბეჭდი. ხელნაწერი. რუსულ და გერმანულ ენებზე. 1 გვ.
54. საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის შეტყობინება დ. არაყიშვილისადმი, სახალხო არტისტის წოდების მინიჭების შესახებ.
1930 წ. 15 იანვარი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. შტამპი. ხელს აწერენ ალ. პაპავა და კ. მედვინეთუხუცესი. 2 გვ.
55. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, სახალხო არტისტის წოდების მინიჭების შესახებ.
1930 წ. 15 იანვარი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. ბეჭდდასმული. 1 ც. 2 გვზ.
56. ხელოვნების მთავარი განყოფილების უფროს ალ. პაპავასა და კანცელარიის გამგე კ. მედვინეთუხუცესის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, სახალხო არტისტის წოდების მინიჭების შესახებ.
1930 წ. 15 იანვარი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.
57. მოსკოვში ჩამოყალიბებული ქართული მუსიკალური კოლექტივის (გოგლიჩიძე, ნავრუზაშვილი, გერმესაშვილი, მჭედლიშვილი, ცირგილაძე, შოტნიევი, შილაკაძე, შიუკაშვილი) მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, ქართული მუსიკის პროპაგანდისთვის ნაწარმოებების გაგზავნასთან დაკავშირებით.
1930 წ. 17 იანვარი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
58. დ. არაყიშვილის მიმართვა სახელმწიფო ოპერის დირექტორისადმი, ოპერის “თქმულება შოთა რუსთაველზე” ჰონორარის შესახებ.
1930 წ. 27 აპრილი. ავტოგრაფი. რეზოლუციით. ლურჯი და წითელი მელანი. რუსულ ენაზე 1 გვ.
59. დ. არაყიშვილის მიმართვა თბილისის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ვანო ბოლქვაძისადმი, საცხოვრებელი ფართის შესახებ.
1930 წ. 19 სექტემბერი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
60. დ. არაყიშვილის განცხადება საქართველოს სახალხო კომიტეტის საბჭოს თავმჯდომარე ფილიპე მახარაძისადმი, პერსონალური პენსიის დანიშვნასთან დაკავშირებით.
1930 წ. ნაბეჭდი. 1 გვ.
61. საქართველოს დრამატულ კომიტეტთან არსებული მუსიკალური სექციის თავმჯდომარე დ. არაყიშვილის მიმართვა საოპერო თეატრის დირექტორისადმი, ოპერა “კარმენის” ქართულ ენაზე დადგმასთან დაკავშირებით. ხელს აწერენ დ. არაყიშვილი და მდივანი ვიქტორ დოლიძე.
1931 წ. 20 იანვარი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. მელანი. 2 გვ.

62. საქართველოს დრამატული კომიტეტის საკომპოზიტორი სექციის კომისიის სხდომის ოქმი, დ. არაყიშვილის ნაწარმოებების მოსმენის შესახებ.
1931 წ. 9 მარტი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
63. საქართველოს დრამატული კომიტეტის საკომპოზიტორო სექციის საკონკურსო ჟიურის სხდომის ოქმი, გამოვლენილ მუსიკალურ ნაწარმოებთა შესახებ.
(მათ შორის დ. არაყიშვილის სიმღერები).
1931 წ. 11 მარტი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
64. სომხეთის სსრ სახელმწიფო გამომცემლობის თავმჯდომარე მაკინცსა და დ. არაყიშვილს შორის დადებული ხელშეკრულება რვა ხალხური სიმღერის გამოცემასთან დაკავშირებით.
1931 წ. 25 აპრილი. ერევანი. ნაბეჭდი. ხელით შევსებული. ხელმოწერილი. ბეჭედდასმული. 1 გვ.
65. დ. არაყიშვილის მიმართვა საქართველოს სსრ სახალხო განათლების კომისარიატის ხელოვნების განყოფილების უფროსისადმი, მისთვის სახელმწიფო თეატრის დარბაზში მუდმივი ადგილის გამოყოფის შესახებ.
1931 წ. 9 სექტემბერი. ავტოგრაფი. რეზოლუციით. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
66. საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა “სახელგამის” გამგეობის თავმჯდომარე ხუნდაძესა და დ. არაყიშვილს შორის დადებული ხელშეკრულება, ნაწარმოებების გამოცემასთან დაკავშირებით.
1931 წ. 17 ნოემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
67. საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა “სახელგამის” წარმომადგენელ ნიკო მიწიშვილსა და დ. არაყიშვილს შორის დადებული ხელშეკრულება, სიმღერების გამოცემასთან დაკავშირებით.
1931 წ. 19 ნოემბერი. ნაბეჭდი. ხელით შევსებული. ხელმოწერილი. 2 გვ.
68. საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის ხელოვნებისა და ლიტერატურის სექტორის ხელმძღვანელ შავგულიძის მიმართვა ბაქოს საოპერო თეატრის დირექტორ ვალენტინოვისადმი, დ. არაყიშვილის ოპერის “თქმულება შოთა რუსთაველზე” დადგმასთან დაკავშირებით.
1932 წ. 2 თებერვალი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. შტამპი. 1 გვ. 2 გვ.
69. დ. არაყიშვილის განცხადება საქართველოს დრამატული კომიტეტის სამმართველოს მუსიკალური სექციისა და კომპოზიტორთა საერთო კრებისადმი, მუსიკალური სექციის მუშაობასთან დაკავშირებით.
1932 წ. 30 აპრილი - 2 მაისი. ავტოგრაფი. ნაბეჭდი. მელანი. რუსულ ენაზე. 7 გვ.
70. დ. არაყიშვილის მიმართვა სახელმწიფო ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელ ა. წუწუნავასადმი, ოპერის “თქმულება შოთა რუსთაველზე” დადგმასთან დაკავშირებით.
1932 წ. 27 მაისი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ. (დაზიანებული).
71. ამონაწერი ხელოვნების საქმეთა საბჭოს სხდომის ოქმიდან, დ. არაყიშვილის ოპერის “თქმულება შოთა რუსთაველზე” კისლავოდსკში დადგმასთან დაკავშირებით.
მეორე გვერდზე დ. არაყიშვილის ჩანაწერები.
1932 წ. 1 ივნისი. ნაბეჭდი. ავტოგრაფი. ხელმოწერილი. ფანქარი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 2 გვ.
72. საკავშირო მუსიკალური გამომცემლობა “მუზიკის” დირექტორ ლუნდინისა და მთავარი რედაქტორ კარცევის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, 3 საფორტეპიანო პიესის გამოცემასთან დაკავშირებით.
1932 წ. 23 სექტემბერი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
73. საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარის მიმართვა განათლების სახალხო კომისარიატისა და ხელოვნების სექტორისადმი, დ. არაყიშვილისთვის პერსონალური პენსიის დანიშვნასთან დაკავშირებით.

1932 წ. 29 სექტემბერი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. ბეჭედდასმული. შტამპი. 1 გვ.

74. ამონაწერი საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის სხდომის ოქმიდან, სამეცნიერო საბჭოში დ. არაყიშვილის წევრად შეყვანის შესახებ.
1933 წ. 3 აპრილი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. 1 გვ.
75. საქართველოს რადიოკომიტეტის მუსიკალურ ხელმძღვანელ ვანო გოკიელსა და დ. არაყიშვილს შორის დადებული ხელშეკრულება, რადიოკონცერტებში მისი სიმფონიური და საოპერო ნაწარმოებების შესრულებასთან დაკავშირებით.
1933 წ. 23 ივნისი. ნაბეჭდი. ხელით შევსებული. ხელმოწერილი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
76. დ. არაყიშვილი – ინსტრუმენტების გაზომვისა და აღრიცხვის ცხრილები.
1934 წ. 24 აპრილი. ხელნაწერი. შავი მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
77. საქართველოს რადიოკომიტეტის მუსიკალურ ხელმძღვანელ ვანო გოკიელსა და დ. არაყიშვილს შორის დადებული ხელშეკრულება, ხმისა და ფორტეპიანოსთვის ორი ნაწარმოების შეკვეთით დაწერასთან დაკავშირებით.
1934 წ. 8 ივნისი. ნაბეჭდი. ხელით შევსებული. ხელმოწერილი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
78. საქართველოს რადიოკომიტეტის მუსიკალურ ხელმძღვანელ ვანო გოკიელსა და დ. არაყიშვილს შორის დადებული ხელშეკრულება, ხუთი ვოკალური კვარტეტის შეკვეთით დაწერასთან დაკავშირებით.
1934 წ. 8 ივნისი. ნაბეჭდი. ხელით შევსებული. ხელმოწერილი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
79. ვ. ბელიაევის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, კუთვნილი ჰონორარის გაგზავნასთან და დ. არაყიშვილის “ცეკვების” გამოცემასთან დაკავშირებით.
1935 წ. 2 მარტი. ბაქო. ნაბეჭდი. რუსულ და ქართულ ენებზე. რეზოლუციით. ხელმოწერილი. 1 გვ.
80. სახელმწიფო მუსიკალურ გამომცემლობა “მუზიგისა” და დ. არაყიშვილს შორის დადებული ხელშეკრულება, “7 კავკასიური ცეკვის” გამოცემასთან დაკავშირებით.
1935 წ. 25 აპრილი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 2 გვ.
81. სახელმწიფო გამომცემლობა “სახელგამის” გამგის მოადგილე ნიკოლოზ მიწიშვილსა და დ. არაყიშვილს შორის დადებული ხელშეკრულება სიმღერების გამოცემასთან დაკავშირებით.
1935 წ. 22 ოქტომბერი. ბლანკი. ხელით შევსებული. ბეჭედდასმული. ხელმოწერილი. 1 გვ.
82. სტალინის სახელობის პირველი მსროლელი და ფრუნზეს სახელობის ქართული მსროლელი ორდენოსანი დივიზიების პოლიტგანყოფილების მიერ გაცემული სიგელი დ. არაყიშვილისადმი, ქართულ ნაწილებზე კულტურულ შეფობაში მუშაობასთან დაკავშირებით.
1936 წ. 25 თებერვალი. სტამბური. ბეჭედდასმული. ყდით. ხელს აწერენ: ალლაძე, გრ. ბაახია, ს. ბუაჩიძე, პ. მიროტაძე. 1 ც.
83. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს კორპუსის კომისრის იარცევის მიერ გაცემული სიგელი დ. არაყიშვილისადმი, სამხედრო ოლქში კულტურული და საშეფო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით.
1936 წ. მარტი. სტამბური. ბეჭედდასმული. ყდით. ხელმოწერილი. 1 ც.
84. საქართველოს მუზეუმის საქმეთა მმართველ რატკოს და საქმის მწარმოებელ რობაქიძის მიერ გაცემული ცნობა დ. არაყიშვილისადმი, მუზეუმის ფოლკლორის განყოფილებაში უფროს მეცნიერ-მუშაკად მუშაობასთან დაკავშირებით.
1936 წ. 10 მაისი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. შტამპი. 1 გვ.
85. კ. ს. სტანისლავსკის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო ოპერის თეატრის დირექტორის მოადგილე ია. ი. ჯამანის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, ოპერის “თქმულება შოთა რუსთაველზე” დადგმასთან დაკავშირებით.
1936 წ. 3 სექტემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

86. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ბრძანება მოსკოვსა და ლენინგრადში ქართული კულტურის დეკადაზე, ქართველ კომპოზიტორთა მივლინების შესახებ. წევრთა შორის დ. არაყიშვილი.
1936 წ. 29 დეკემბერი. ნაბეჭდი. ბეჭდდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.
87. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მიერ გაცემული მოწმობა დ. არაყიშვილისადმი, მოსკოვსა და ლენინგრადში ქართული კულტურის დეკადაში მონაწილეობასთან დაკავშირებით.
1936 წ. 31 დეკემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭდდასმული. რუსულ ენაზე. ხელს აწერენ ა. დუდუჩავა, კ. ბახტაძე. 1 გვ.
88. დ. არაყიშვილის პერსონალური პენსიონერის წიგნაკი.
1936 წ. 25 დეკემბერი. სტამბური. 1 ც.
89. ხალხური შემოქმედების საკავშირო სახლთან არსებული მუსიკალური კომბინატის დირექტორ ვიქტორ ბელიაევის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, ქართული მუსიკალური ინსტრუმენტების ბროშურის გამოცემის შესახებ.
1937 წ. 7 აპრილი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. შტამპი. 2 გვ.
90. ხალხური შემოქმედების საკავშირო სახლთან არსებული მუსიკალური კომბინატის დირექტორის მოადგილე ვიქტორ ბელიაევის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, ბროშურისთვის ქართული ხალხური მუსიკისა და მუსიკალურ ინსტრუმენტების შესახებ მასალის გაგზავნასთან დაკავშირებით.
1937 წ. 27 აპრილი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
91. ხალხური შემოქმედების საკავშირო სახლთან არსებული მუსიკალური კომბინატის დირექტორ ვიქტორ ბელიაევის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, ქართული მუსიკალური ინსტრუმენტების ბროშურის გამოცემისთვის ხელშეკრულების დადების შესახებ.
1937 წ. აპრილი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
92. ხალხური შემოქმედების საკავშირო სახლთან არსებული მუსიკალური კომბინატის დირექტორის მოადგილე ვიქტორ ბელიაევის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, ქართული ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტების ბროშურასთან დაკავშირებით.
1937 წ. 10 მაისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
93. კულტურის საკავშირო კომიტეტთან არსებული სახელმწიფო მუსიკალური გამომცემლობა “მუზგიზის” მთავარ რედაქტორ ი. შიშოვის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, ნაწარმოებების დაბეჭდვასთან დაკავშირებით.
1937 წ. 20 მაისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
94. მოსკოვის ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, წითელ არმიაში საშეფო მუშაობის ჩატარებისთვის, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოების შესახებ.
1937 წ. 2 ივნისი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. შტამპი. 1 გვ.
95. კულტურის საკავშირო კომიტეტთან არსებული სახელმწიფო მუსიკალური გამომცემლობა “მუზგიზის” მთავარ რედაქტორ ი. შიშოვის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, ნაწარმოებების დაბეჭდვასთან დაკავშირებით.
1937 წ. 3 ივნისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
96. ხალხური შემოქმედების საკავშირო სახლთან არსებული მუსიკალური კომბინატის დირექტორ ბელიაკოვის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, ბროშურის “ქართული მუსიკალური ინსტრუმენტების შესახებ” გამოცემასთან დაკავშირებით.
1937 წ. 20 ივნისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
97. სახელმწიფო მუსიკალურ გამომცემლობა “მუზგიზსა” და დ. არაყიშვილს შორის დადებული ხელშეკრულება, სუიტის ოპერიდან “თქმულება შოთა რუსთაველზე” გამოცემასთან დაკავშირებით.
1937 წ. 23 ივნისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი ბეჭდდასმული. რუსულ ენაზე. 2 გვ.

98. სახელმწიფო მუსიკალური გამომცემლობა “მუზიკის” სახელშეკრულებო ნაწილის მდივან ლავროვსკაიას მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ. 1937 წ. 28 ივნისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
99. სახელმწიფო მუსიკალურ გამომცემლობა “მუზიკისა” და დ. არაყიშვილს შორის დადებული ხელშეკრულება, სამხრეთ ოსეთის ხალხური სიმღერების გამოცემასთან დაკავშირებით. 1937 წ. 14 ივლისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 2 გვ.
100. სახელმწიფო მუსიკალური გამომცემლობა “მუზიკის” მთ. ბუღალტერ ოკუნევის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, ჰონორართან დაკავშირებით. 1937 წ. 27 ივლისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
101. კულტურის საკავშირო კომიტეტთან არსებული სახელმწიფო მუსიკალური გამომცემლობა “მუზიკის” მოლაპარაკების განყოფილების გამგე გოლოვინევის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, მისი ნაწარმოებების დაბეჭდვასთან დაკავშირებით. 1937 წ. 28 სექტემბერი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. შტამპი. 1 გვ.
102. მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის ისტორიულ-თეორიული ფაკულტეტის დეკან გარბუზოვის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, კონსერვატორიაში რამდენიმე ლექციის წაკითხვასთან დაკავშირებით. 1937 წ. 13 ოქტომბერი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. შტამპი. 1 გვ.
103. საქართველოს პროფესიული კავშირის მეცნიერ-მუშაკთა სექციის ცენტრალური ბიუროს მიერ გაცემული წევრის მოწმობა დ. არაყიშვილისადმი. 1937 წ. 28 ნოემბერი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. შტამპი. ხელს აწერენ თავმჯდომარე ახვლედიანი, მდივანი გერსამია. 1 ც.
104. სახელმწიფო მუსიკალური გამომცემლობა “მუზიკის” ხელშეკრულების განყოფილების მდივან გოლოვინევის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, ქართული სიმღერის “ზამთარი” ჩაწერასთან დაკავშირებით. 1937 წ. 14 დეკემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
105. საქართველოს ხელოვნების მუშაკთა ცენტრალური გამგეობის მიერ გაცემული საპატიო სიგელი დ. არაყიშვილისადმი. 1938 წ. 11 იანვარი. სტამბური. ხელმოწერილი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.
106. დ. არაყიშვილის მიმართვა სახელმწიფო მუსიკალური გამომცემლობისა და გამომცემლობა “ხელოვნების” მუსიკალური სექტორისადმი, ნადეჟდა ბუზოდლის ნაშრომთან დაკავშირებით. 1938 წ. მარტი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
107. კიროვაკანის სამუსიკო სკოლის დირექტორ ედ. გზარტმიანის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, სკოლისთვის ბიოგრაფიის გაგზავნასთან დაკავშირებით. 1938 წ. 14 აპრილი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. შტამპი. 1 გვ.
108. ხალხური შემოქმედების საკავშირო სახლის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, “ქართული მუსიკალური საკრავების შესახებ” ხელნაწერის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით. 1938 წ. 9 მაისი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. შტამპი. 1 გვ.
109. სახელმწიფო მუსიკალურ გამომცემლობა “მუზიკისა” და დ. არაყიშვილს შორის დადებული ხელშეკრულება, კრებულ “სსრკ ხალხთა საგუნდო შემოქმედებისთვის” ქართული ხალხური 3 ხმიანი სიმღერა “ზამთრის” გამოცემასთან დაკავშირებით. 1938 წ. 15 მაისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 2 გვ.
110. სახელმწიფო მუსიკალურ გამომცემლობა “მუზიკისა” და დ. არაყიშვილს შორის დადებული ხელშეკრულება, ოთხი საგუნდო ნაწარმოების გამოცემასთან დაკავშირებით. 1938 წ. 3 ოქტომბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. ბეჭედდასმული. 2 გვ.

111. სახელმწიფო მუსიკალურ გამომცემლობა “მუზიკისა” და დ. არაყიშვილის შორის დადებული ხელშეკრულება, ორი ვოკალური ნაწარმოების გამომცემასთან დაკავშირებით.
1938 წ. 8 ოქტომბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე.
112. ლენინგრადის საბჭოთა კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის წევრ ა. ა. აშკენაზის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, საბჭოთა კომპოზიტორთა აღბომისთვის მონაცემების გაგზავნასთან დაკავშირებით.
1938 წ. 20 ნოემბერი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. შტამპი. 1 გვ.
113. სახელმწიფო მუსიკალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ა. ოსოვსკის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, ლექცია “ქართული ხალხური მაგიური მუსიკის” ჩატარებასთან დაკავშირებით.
1938 წ. 11 დეკემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
114. სსრკ ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ გაცემული საპატიო სიგელი დ. არაყიშვილისადმი, წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტში კულტურულ-საშეფო მუშაობასთან დაკავშირებით.
1938 წ. სტამბური. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 1 ც.
115. სსრკ მწერალთა კავშირთან არსებული საავტორო უფლებათა დაცვის სამმართველოს ბლანკი შევსებული დ. არაყიშვილის მიერ, ნაწარმოებთა ჩამონათვალით.
1939 წ. 27 იანვარი. სტამბური. ხელით შევსებული. მელანი. რუსულ ენაზე. 4 გვ.
116. ხელოვნების საქმეთა საკავშირო კომიტეტის მუსიკალურ დაწესებულებათა სამმართველოს თავმჯდომარის მოადგილე სურინის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, საქართველოში მუსორგსკის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების შესახებ.
ერთვის თეზისები მოხსენებისთვის “მუსორგსკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ”.
1939 წ. 15 მარტი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 8 გვ.
117. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროს ბ. გოგუას ბრძანება მუსორგსკის საიუბილეო კომიტეტის შექმნასთან დაკავშირებით. წევრთა შორის დ. არაყიშვილი.
1939 წ. 16 მარტი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. ბეჭედდასმული. 1 გვ.
118. საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა “სახელგამსა” და დ. არაყიშვილს შორის დადებული ხელშეკრულება “ქართული მუსიკის მოკლე ისტორიული მიმოხილვის” რუსულ ენაზე გამომცემასთან დაკავშირებით.
1939 წ. 20 მარტი. ბლანკი. ხელით შევსებული. ხელმოწერილი. 3 გვ.
119. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მიერ გაცემული მოწმობა დ. არაყიშვილისადმი, მოსკოვში, მუსორგსკის 100 წლის იუბილეზე გამგზავრებასთან დაკავშირებით.
1939 წ. 27 მარტი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 2 გვ.
120. დ. არაყიშვილის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1939 წ. 3 აპრილი – 20 ივნისი. ბლანკი. ავტოგრაფი. მელანი. წითელი ფანქარი. ქართულ და რუსულ ენებზე. 3 გვ.
121. სსრკ სახლხო კომისართა საბჭოსთან არსებული კულტურის საქმეთა კომიტეტის მუსიკალურ დაწესებულებათა სამმართველოსა და დ. არაყიშვილის შორის დადებული ხელშეკრულება სიმღერის დაწერასთან დაკავშირებით.
1939 წ. 20 ივნისი. ნაბეჭდი. ხელით შევსებული. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
122. გამომცემლობა “მუზიკის” დირექტორ ა. ლუნდინისა და რედაქტორ ა. კარცევის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, 5 პიესის ხმისა და ფორტეპიანოსთვის დაბეჭდვასთან დაკავშირებით.
1939 წ. 17 ივლისი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
123. თბილისში საკავშირო დათვალიერების პირველი ტურის ეიურის შემადგენლობა დ. არაყიშვილის თავმჯდომარეობით, დადასტურებული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კულტურის საქმეთა სამმართველოს ხელმძღვანელ გოგუას მიერ.

1939 წ. 25 აგვისტო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

124. სახელმწიფო მუსიკალური გამომცემლობის რედაქტორ იუ. იაცევიჩის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, ნაწარმოებების ვიოლონჩელოსა და ფორტეპიანოსთვის გამოცემასთან დაკავშირებით.
1939 წ. 8 სექტემბერი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. შტამპი. 1 გვ.
125. მოსკოვის მუსიკალური დაწესებულებების სამმართველოს უფროს სურიჩის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, რომანსების არჩევის შესახებ.
1939 წ. 22 სექტემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
126. სსრკ ცენტრალური საგამომწერო კანტორის დირექტორ გრიგორიევის მიმართვა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის რწმუნებულის მოადგილე ნ. კეკელიძისადმი, დ. არაყიშვილისთვის გაზეთ “საბჭოთა ხელოვნების” ნომრების მიღებასთან დაკავშირებით.
1939 წ. 28 ოქტომბერი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. შტამპი. 2 გვ.
127. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროს ბ. გოგუას ბრძანება დ. არაყიშვილის საესტრადო მსახიობთა დათვალიერების I ტურის ჟიურის წევრად დამტკიცების შესახებ.
1939 წ. 20 ნოემბერი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.
128. დ. არაყიშვილის მშრომელთა დეპუტეტების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატის ბილეთი.
1939 წ. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.
129. თბილისის ორჯონიკიძის რაიადმასკომის საბინაო სამმართველოს №351 სახლის მმართველ ვარლამ ტუსკიასა და დ. არაყიშვილის შორის დადებული ბინის დაქირავების ხელშეკრულება.
1940 წ. იანვარი. ბლანკი. ხელით შევსებული. ბეჭედდასმული. 2 გვ.
130. სახელმწიფო გამომცემლობა “ხელოვნებასა” და დ. არაყიშვილს შორის დადებული ხელშეკრულება “წონგურის” რუსულ ენაზე გამოცემასთან დაკავშირებით.
1940 წ. 9 თებერვალი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 3 გვ.
131. სამხრეთ ოსეთის ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროს მაძიევის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, ბ. ა. გალაგვის წერილთან დაკავშირებით.
1940 წ. 21 თებერვალი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. შტამპი. 1 გვ.
132. სახელმწიფო მუსიკალური გამომცემლობა “მუზიკის” დირექტორ ლუნდინის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, ქაღალდის უქონლობის გამო, ოპერის “თქმულება შოთა რუსთაველზე” გამოცემაზე უარის თქმასთან დაკავშირებით.
1940 წ. 18 ნოემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
133. დიმიტრი როგალ-ლევიცკის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, საბჭოთა კომპოზიტორთა ნაწარმოებებისგან შემდგარი სუიტისთვის კავკასიელ კომპოზიტორთა ნაწარმოებების გაგზავნასთან დაკავშირებით.
1941 წ. 24 იანვარი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
134. დ. არაყიშვილის მიერ გაცემული დახასიათება მევიოლინე ლეო შიუკაშვილისადმი.
1941 წ. 30 იანვარი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
135. დ. არაყიშვილის ორდენის წიგნაკი.
1941 წ. 8 თებერვალი. სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.
136. სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მიერ გამართული ა. სკრიაბინისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე იუ. შაპორინის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი. მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით.
1941 წ. 4 აპრილი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

137. საქართველოს რადიოკომიტეტის საბავშვო გადაცემათა რედაქციის მთავარ რედაქტორ დიმიტრი ჯანელიძისა და დ. არაყიშვილის შორის დადებული ხელშეკრულება, საბავშვო მუსიკალური სურათის, “ყვავილთა შორის” შეკვეთით დაწერასთან დაკავშირებით. 1943 წ. 27 სექტემბერი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. 1 გვ.
138. ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს მიერ გაცემული სიგელი დ. არაყიშვილსადმი, სასულე ორკესტრის მომზადებასთან დაკავშირებით. 1944 წ. 19 იანვარი. სტამბური. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. ხელს აწერენ: ჯარების სარდალი - არმიის გენერალი ტიულენევი, გენერალ-მაიორი ეფიმოვი, გენერალ-ლეიტენანტი ივანოვი. 1 ც.
139. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორ სიმონ ჯანაშიას მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, ინსტიტუტის სახელით, ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუსიკალურ-ფოლკლორულ კონფერენციაში მონაწილეობის მიღების შესახებ. 1945 წ. 23 ივნისი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. შტამპი. 1 გვ/
140. დ. არაყიშვილის “მებრძოლ რევოლუციონერთა საერთაშორისო ორგანიზაციის” წევრის ბილეთი. 1945 წ. სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.
141. სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის სამეცნიერო დაწესებულებების განყოფილების რედაქციის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, კრებულ “საბჭოთა მუსიკალური მეცნიერების პრობლემების” გამოცემის შესახებ. 1945 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
142. რევაზ გაბიხაძის დახასიათება (სამუშაო ვარიანტი), გაცემული დ. არაყიშვილის მიერ. 1946 წ. 28 აპრილი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
143. ისტორიის ინსტიტუტის სწავლულ მდივან გ. ლომთათიძის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებით. მეორე გვერდზე იონა ტუსკიას დახასიათება (სამუშაო ვარიანტი), გაცემული დ. არაყიშვილის მიერ. 1946 წ. 18 – 21 ივნისი. ნაბეჭდი. ავტოგრაფი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე.
144. დ. არაყიშვილი – ავტობიოგრაფია. 1946 წ. 28 ივნისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 4 გვ.
145. დ. არაყიშვილი – ავტობიოგრაფია. 1946 წ. 15 ივლისი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
146. თამარა ჩარექიშვილის დახასიათება (სამუშაო ვარიანტი), გაცემული დ. არაყიშვილის მიერ. 1946 წ. 21 ივლისი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
147. დ. არაყიშვილის პასუხი შ. ასლანიშვილის გამოსმაურებაზე, ნაშრომთან, “ისევ რაჭის სიმღერების შესახებ” დაკავშირებით. 1946 წ. 18 ოქტომბერი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 3 გვ.
148. დ. არაყიშვილის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი. 1947 წ. 4 მარტი. სტამბური. ხელით შევსებული დ. არაყიშვილის მიერ. მელანი. რუსულ ენაზე. 4 გვ.
149. სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის დირექტორ გრიგოლ ბუხნიკაშვილის მიმართვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროს რ. ს. შადურისადმი, დ. არაყიშვილისა და ნიკო გოცირიძის დაბადებიდან 75 წლისთავის აღნიშვნასთან დაკავშირებით. 1947 წ. 11 სექტემბერი. ხელნაწერი. მელანი. შტამპი. 1 გვ.
150. ტიუმენის მუსიკალური სკოლის დირექტორ იური გელდერის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, სკოლისთვის ფოტოსა და ხელმოწერის გაგზავნასთან დაკავშირებით.

1947 წ. 24 სექტემბერი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

151. მუსიკალური კულტურის ცენტრალური სახელმწიფო მუზეუმის დირექტორ ე. ალექსეევას მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, “საბჭოთა სამუსიკო კულტურის 30 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენისთვის” ოპერის “თქმულება შოთა რუსთაველზე მასალის გაგზავნასთან დაკავშირებით.
1947 წ. 13 ოქტომბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
152. დროებითი მოწმობის დამოწმებული ასლი, გაცემული 1917 წ. 15 დეკემბერს მოსკოვის არქეოლოგიური ინსტიტუტის მიერ, დ. არაყიშვილისთვის არქეოლოგიის წოდების მინიჭების ნამდვილ წევრად არჩევისა და ოქროს მედლით დაჯილდოების შესახებ.
1947 წ. 1 დეკემბერი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.
153. მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორის, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორ ვიქტორ ბელიაევის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭებასთან დაკავშირებით.
1948 წ. 25 იანვარი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
154. დ. არაყიშვილის რომანსების ჩამონათვალი ფილარმონიისთვის.
1948 წ. 7 თებერვალი. დ. არაყიშვილის ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
155. დ. არაყიშვილი – მოსკოვის პრესნენსკის რაიონის მუსიკალური სკოლის კონცერტის შესახებ.
1948 წ. 24 აპრილი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
156. ჟურნალ “საბჭოთა მუსიკის” თანამშრომელ გრ. ბერნანდტის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, სტატიის გამოქვეყნების შესახებ.
1948 წ. 18 ოქტომბერი. მოსკოვი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
157. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროს ი. დოლიძის მიმართვა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივან რ. შადურისადმი, დ. არაყიშვილის შემოქმედებითი და საზოგადო მოღვაწეობის 50 წლის იუბილეს გამართვასთან დაკავშირებით.
1948 წ. ნაბეჭდი. 2 გვ.
158. დ. არაყიშვილის მშრომელ დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატის ბილეთი.
1948 წ. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.
159. დ. არაყიშვილის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1949 წ. 31 მაისი. ხელით შევსებული დ. არაყიშვილის მიერ. მელანი. რუსულ ენაზე. 4 გვ.
160. სსრკ განათლების სამინისტროსა და უმაღლესი საატესტაციო კომისიის მიერ გაცემული დიპლომა დ. არაყიშვილისადმი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებასთან დაკავშირებით.
1949 წ. 12 ნოემბერი. ნაბეჭდი. ასლი დამოწმებული ბეჭდით. რუსულ ენაზე. 1 გვ.
161. ამონაწერი სსრკ უმაღლესი განათლების სამინისტროს უმაღლესი საატესტაციო კომისიის ოქმიდან, დ. არაყიშვილისათვის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ.
1949 წ. 12 დეკემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.
162. ჟურნალ “საბჭოთა მუსიკის” რედაქციის წარმომადგენელ მ. კოვალის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, ნაშრომ “ადმოსავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერების აღწერის” გაგზავნასთან დაკავშირებით.
1949 წ. 17 თებერვალი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე.
163. ჟურნალ “საბჭოთა მუსიკის” რედაქციის წარმომადგენელ მ. კოვალის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, მუსიკალურ-ეთნოგრაფიულ კომისიის მუშაობისა და მასზე სტატიის გამოქვეყნების შესახებ.

1949 წ. 28 მარტი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

164. სახელმწიფო მუსიკალური გამომცემლობა “მუზგიზის” მთ. რედაქტორ კ. საკვას მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, მეგრული ხალხური სიმღერა “ჩონგურის” გამოცემასთან დაკავშირებით.
1949 წ. 11 აპრილი. ნაბეჭდი. ხელით შევსებული. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
165. დ. არაყიშვილი – მუსიკალურ ეთნოგრაფიული კომისიის შესახებ.
1949 წ. 27 აპრილი. ავტოგრაფი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 4 გვ.
166. ე. მ. გერასიმოვას მიმართვა [თბილისის ფოსტის] დირექტორისადმი, დ. არაყიშვილის მისამართის შესახებ.
მეორე გვერდზე დ. არაყიშვილის ჩანაწერი.
1949 წ. 9 მაისი. სტალინგრადი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
167. სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის საგასტროლო ბიუროს დირექტორ დ. სულხანიშვილის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, შემოქმედებითი საღამოს ორგანიზაციის შესახებ.
1949 წ. 16 ივნისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
168. ლენინგრადის კონსერვატორიის დირექტორის მოადგილის, დოცენტ ა. ნ. დმიტრიევის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, პავლე ხუჭუას დისერტაციასთან დაკავშირებით.
1949 წ. 11 ივლისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
169. სახელმწიფო მუსიკალური გამომცემლობა “მუზგიზის” რედაქტორის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.
1949 წ. 16 ივლისი. ბლანკი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
170. პ. ჩაიკოვსკის სახელობის მოსკოვის კონსერვატორიის დირექტორის, პროფესორ ა. ვ. სევენიკოვის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, უმაღლეს საატესტაციო კომისიასთან დაკავშირებით.
1949 წ. 18 ივლისი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
171. სსრ. ხელოვნების საქმეთა სამმართველოსთან არსებული მუსიკალური გამომცემლობის რედაქციის გამგე ა. გაიამოვის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, სვანური ხალხური სიმღერების კრებულის გამოცემის შესახებ.
1949 წ. 16 აგვისტო. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
172. სახელმწიფო მუსიკალური გამომცემლობა “მუზგიზის” დირექტორ ა. ბოლშეშენნიკოვისა და მთ. ბუღალტერ პ. ვიქტოროვის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, ჰონორარის გაგზავნასთან დაკავშირებით.
1949 წ. 28 სექტემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
173. მოსკოვის სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორ ვლ. კრიუკოვის მიმართვა საგასტროლო ბიუროს დირექტორ დ. გ. სულხანიშვილისადმი, დ. არაყიშვილის შემოქმედებითი საღამოს ჩატარებასთან დაკავშირებით.
1949 წ. 4 ოქტომბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
174. საგასტროლო ბიუროს დირექტორ დ. გ. სულხანიშვილის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, მოსკოვის სახელმწიფო ფილარმონიაში საავტორო შემოქმედებითი საღამოს ჩატარებასთან დაკავშირებით.
1949 წ. 6 ოქტომბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
175. სახელმწიფო მუსიკალური გამომცემლობა “მუზგიზის” დირექტორ ა. ბოლშეშენნიკოვის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, “7 კავკასიური ცეკვის” ჰონორართან დაკავშირებით.
1949 წ. 17 ოქტომბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
176. მუსიკალური გამომცემლობა “მუზგიზის” რედაქციის ხელმძღვანელ ა. გაიამოვის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, წერილის მიღებასთან დაკავშირებით.
1949 წ. 29 ოქტომბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

177. დ. არაყიშვილი – ავტობიოგრაფია.
1949 წ. 12 ნოემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 3 გვ. 2 ეგზ.
178. სსრკ უმაღლესი განათლების სამინისტროს უმაღლესი საატესტაციო კომისიის გაცემული ცნობა დ. არაყიშვილისადმი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ.
1949 წ. 28 ნოემბერი. ბლანკი. ხელით შევსებული. ხელმოწერილი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.
179. სსრკ უმაღლესი განათლების სამინისტროს უმაღლესი საატესტაციო კომისიის მიერ გაცემული დიპლომი დ. არაყიშვილისადმი, საკომპოზიტორო კათედრის პროფესორის წოდების მინიჭების შესახებ.
1949 წ. 2 დეკემბერი. სტამბური. ხელმოწერილი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. ყდით. 1 ც.
180. ამონაწერი სსრკ უმაღლესი განათლების სამინისტროს უმაღლესი საატესტაციო კომისიის ოქმიდან, დ. არაყიშვილისათვის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ.
1949 წ. 12 დეკემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ. 2 ეგზ.
181. ამონაწერი სსრკ უმაღლესი განათლების სამინისტროს უმაღლესი საატესტაციო კომისიის ოქმიდან, დ. არაყიშვილისათვის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ.
1949 წ. 12 დეკემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
182. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორ ს. პ. ტოლსტოვის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, ნაშრომ “დიდი სამამულო ომისდროინდელი ქართული ხალხური სიმღერების” შესახებ.
1949 წ. 27 დეკემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე.
183. ისტორიის ინსტიტუტის მუსიკალური განყოფილების სამეცნიერო შრომების სია. შეტანილია დ. არაყიშვილის ნაწარმოებები.
1949 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
184. კოსტა ხეთაგუროვის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის უფროს მეცნიერ-თანამშრომლის ნ. გოზიუმოვის მიმართვა დ. არაყიშვილისადმი, მუზეუმისთვის რომანსების გაგზავნასთან დაკავშირებით.
1950 წ. 26 იანვარი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
185. დ. არაყიშვილის შრომების სია.
1950 წ. 3 მარტი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 2 გვ.
186. დ. არაყიშვილის სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი.
1950 წ. 31 მარტი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. ხელს აწერს ხაჩიძე. 2 გვ.
187. სახელმწიფო მუსიკალური გამომცემლობის დირექტორ ა. ბოლშეშენიკოვის მიმართვა სსრკ საბჭოთა კომპოზიტოროთა კავშირის გენერალური მდივნის ტიხონ ხრენიკოვისადმი, დ. არაყიშვილის ნაშრომ “სვანური სიმღერების” შესახებ.
1950 წ. 31 მარტი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
188. ამონაწერი სსრკ უმაღლესი განათლების სამინისტროსთან არსებული უმაღლესი საატესტაციო კომისიის ატესტატიდან, დ. არაყიშვილისათვის კომპოზიციის ფაკულტეტის პროფესორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.
1950 წ. 31 მარტი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ. 2 ეგზ.
189. ამონაწერი სსრკ უმაღლესი განათლების სამინისტროსთან არსებული უმაღლესი საატესტაციო კომისიის 1949 წ. 12 ნოემბრის ოქმიდან, დ. არაყიშვილისთვის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭებასთან დაკავშირებით.
1950 წ. 31 მარტი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. ხელს აწერს ხაჩიძე. 1 გვ. 2 ეგზ.

190. სსრკ უმაღლესი განათლების სამინისტროს უმაღლესი საატესტაციო კომისიის მიერ გაცემული დიპლომი დ. არაყიშვილისადმი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ.
1950 წ. 1 აპრილი. სტამბური. რუსულ ენაზე. ენაზე. 1 ც.
191. სსრკ მინისტრთა საბჭოს მიერ გაცემული მოწმობა დ. არაყიშვილისადმი, სტალინური პრემიისა და ლაურეატის წოდების მინიჭების შესახებ.
1950 წ. 8 ივნისი. სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.
192. სტალინური პრემიის ლაურეატის დიპლომი გაცემული დ. არაყიშვილისადმი, კინოფილმ “ჯურღალის ფარის” მუსიკისთვის.
1950 წ. 8 ივნისი. სტალინის ფაქსიმილე. სტამბური. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. ყლით. 1 ც.
